თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2420592

ნომერი: AR1373983

თარიღი : 28.01.2016

გაცემის თარიღი : 11.02.2016

გაცნობის თარიღი : 11.02.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი ლილო ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მერებაშვილი პ/ნ 01007015586
- დ. ბაქრაძის 4 ბ2

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.12.2015 წლის №2366636 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 28/01/2016 წლის AR1373983 განცხადებით მომართა გიორგი მერებაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 30.12.2015 წლის №2366636

ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურს 14.12.2015 წლის AR1363897 განცხადებით მომართა მოქ. გიორგი მერებაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, დიდ ლილოში (ს.კ.N 81.08.16.149) შპს „ნიუ ბრენდის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისათვის, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ, სამსახურის 30.12.2015 წლის №2366636 ბრძანებით დაკმაყოფილდა განმცხადებლის მოთხოვნა, თუმცა აღნიშნული ბრძანების პირველ პუნქტში დაშვებული იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ჩანაწერი „დაკმაყოფილდეს მოქალაქე დავით გიორგაძის განცხადება N AR1342529 13.102015 წ. და დამტკიცდეს თანდართული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები“–ის ნაცვლად უნდა ფიქსირდებოდეს: „დაკმაყოფილდეს მოქალაქე გიორგი მერებაშვილის 14.12.2015 წლის AR1363897 განცხადება და დამტკიცდეს თანდართული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები“.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ვინაიდან, 30.12.2015 წლის №2366636 ბრძანების პირველ პუნქტი შეცდომით იქნა დაფიქსირებული ინფორმაცია, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ხსენებული ბრძანების პირველი პუნქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.12.2015 წლის №2366636 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
„1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე გიორგი მერებაშვილის 14.12.2015 წლის AR1363897 განცხადება და დამტკიცდეს თანდართული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები;“
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.12.2015 წლის №2366636 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.